პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 24 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 682 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავლე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

ოთხშაბათს, 24 დეკემბერს,

## გაიხსნება 1 ქ. მ. დივიზიის პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1) პოლიტ-სამმართველოს მოხსენება,
2) პოლიტ განყოფილების ანგარიში,
3) პარტიულ მუშაობის ამოცანები სოფლად,
4) პარტიულ მუშაობის ამოცანები წითელ ჯარში (თანამოხსენება კომკავშირის მუშაობის შესახებ),
5) პარტ-კომისიის მოხსენება,
6) მიმდინარე საკითხები.

1 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილება.

## დივიზიის მე-4-ე პარტკონფერენციისათვის.

დღეს იხსნება პირველ ქარ-[თ]ულ მსროლელ დივიზიის [მე]ოთხე პარტკონფერენცია. შვი[დ]მა თვემ განვლო მას შემდეგ, [რა]ც მესამე პარტკონფერენცია [ჩა]ტარდა.

თავის თავად ცხადია ეს პე[რი]ოდი არ არის დიდი, მაგრამ [ძლი]ერად მდიდარია შინაარსით. [1]902 წელში დაბადებულებით [ჩვე]ნი ნაწილების შევსება, სა[ზაფხულო] ბა[ნა]კოდ გასვლა, საზამთრო [პე]რიოდის მუშაობის მნიშვნე[ლ]ოვანი ნაწილის შესრულება— [ჩვე]ნი ცხოვრების ყველა ის [ძვირფ]ასი საფეხურები, რომლე[ბი]ც საზღვრავდენ ამ ხნის გან[მა]ვლობაში პარტიულ მუშაო[ბა]ს.

[ახ]ლად მოსული ახალგაზრდო[ბ]ისაგან საბჭოთა რესპუბლიკის [და] მუშურ-გლეხური ხელისუფ[ლ]ების ღირსეული დამცველის [გა]ზრდა—აი ძვირფასი ამოცანა, [რ]ომელიც დაკისრებული აქვს [ჩვ]ენს პარტიას წითელ ჯარში.

[უნდა] ვსთქვათ, რომ საერ[თ]ოდ და მთლიანად ამ მხრივ [ჩვ]ენი მუშაობა საკმაოდ ნაყო[ფი]ერი იყო. მაგრამ არც იმის [თქ]მა შეიძლება, რომ ყველა[ფ]ერი რიგზე იყო და ხაკლს [არ] ქონდა ადგილი. ნათქვამია [ვი]ნც მუშაობს და აკეთებს ის [შ]ეცდომებსაც დაუშვებსო.

ჩვენი პარტია ძლიერია იმით, [რ]ომ ის თავის დეფექტებზე [ყ]ოველთვის და ყოველივე უარ[ყ]ოფითს თავის მუშაობაში თვი[თ]ონ აჩენს, თვითონ აკრიტი[კ]ებს და თვითონ ასწორებს.

მეოთხე პარტიულ კონფე[რ]ენციის დღის წესრიგში მე[ტ]ად მნიშვნელოვანი საკითხე[ბ]ი დგას, რომლებიც სავსებით ამოსწურავენ ამ შვიდი თვის მთელ ნამუშავარს ისე, როგორც ყოველთვის. პარტკონფერენცია ჯამს გაუკეთებს ჩვენ წარსულის მუშაობას და მის გაკვეთილების მიხედვით გამოიმუშავეს შემდეგი მუშაობის გეგმას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი, რომელიც სდგას დღის წესრიგში.

ეს არის სოფლად მუშაობის საკითხი.

საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სადღეისო ლოზუნგია—პირით სოფლისაკენ! ეს ლოზუნგი წითელ არმიელმაც უნდა გაატაროს ცხოვრებაში. წითელ არმიის მჭიდრო, უშუალო კავშირი სოფელთან—საუკეთესო საწინდარია მუშურ-გლეხური რესპუბლიკის სიმტკიცისა და აყვავების. პარტკონფერენციამ უნდა გამონახოს ყველა ის პრაქტიკული საშუალებანი, რომელთა საშვალებით შეიძლება მჭიდრო დაახლოება ჩვენი დივიზიისა სოფელთან და მშრომელ გლეხობასთან.

კომუნისტური პარტიის თავგამოდებული მუშაობით იზრდება და ძლიერდება ჩვენი ქართული წითელი დივიზია.

მეოთხე პარტკონფერენციას ვუსურვებთ თავისი ნაყოფიერი მუშაობით უფრო გააძლიეროს და განამტკიცოს ჩვენი წითელი ჯარის რიგები.

## ბრძოლა ჩინეთში.

მოუსვენარი ქვეყანა-სწორედ ჩინეთზე ითქმის. არ იქ[ნე]ბა და არ ეღირსა მშვიდობი[ა]ნი ცხოვრება ჩინეთის მცხოვ[რე]ბლებს. მუდმივი ბრძოლა, დაუსრულებელი სამოქალაქო ომი [ა]ნადგურებს ამ მხარეს და ასუ[ს]ტებს მას. დაეცემა ერთი დე[სპ]ოტი მყისვე მეორე გაჩნდება მის ადგილზე, რომლის წინააღმდეგ კვლავ იწყება ბრძოლა და ასე დაუსრულებლივ.

როგორც ვიცით ამ უკანასკნელად ომი გაიმართა ორ ძლიერ ღენერლებს შორის უ-პეი-ფუსა და ჩჟან-ზო-ლინის შორის. პირველი ბატონობდა ჩინეთის დედაქალაქში პეკინში და საშუალო ჩინეთში, ხოლო მეორე კი ბრძანებლობს ჩრდილოეთ ჩინეთს. ამ ომში გაიმარჯვა ჩჟან-ზო-ლინმა, რომელსაც მხარს უჭერდა სამხრეთის ბელადი რევოლიუციონერი სუნ-იატ-სენი. ჩჟან-ზო-ლინმა შეაყენა მთავრობა, რომელიც სავსებით გამოხატავს მის ინტერესებს.

მაგრამ ეს მთავრობა არ მოსწონს სუნ-იატ-სენს რომელსაც სულ სხვა მიზნები აქვს. ჩჟან-ზო-ლინი იაპონიის იმპერიალიზმის წარმომადგენელია და ემსახურება მის ინტერესებს.

სუნ-იატ-სენი კი ცდილობს გაანთავისუფლოს ჩინეთი უცხოელების ბატონობისაგან და შექმნას მტკიცე დემოკრატიული ძალა-უფლება ჩინეთში. სუნ-იატ-სენს თავისი პარტიაც ყავს ეგრედ წოდებული გომინდანი. ეს უკმაყოფილება ჩჟან-ცზო-ლინსა და სუნ-იატ-სენის შორის უფრო გამწვავდა ეროვნული კონფერენციის მოწვევის გარშემო. სუნ-იატ-სენს სურს მოხდეს ფართე დემოკრატიული არჩევნები. მაშინ ჩინეთის პარლამენტში მოხდება ისეთი პირები, რომლებიც მოწადინებული იქნებიან იხსნან ჩინეთი როგორც ევროპის, ამერიკის ისე იაპონიის იმპერიალისტების უპასუხისმგებლო თარეშისაგან. ეს კი სრულიად არ სურს ჩჟან-ცზოლინსა და მის თანამოაზრეს ეხლანდელ პრეზიდენტს დუან-ძი-ჯუს, რომელიც აგრეთვე იაპონიის კაპიტალისტების ინტერესებს იცავს. მათ არ უნდათ არჩევნების მოხდენა ფართე დემოკრატიულ ნიადაგზე, არამედ სურთ ჩაატარონ ასეთი თავის გავლენის ქვეშ, რათა პარლამენტში მოხდეს ისეთი პირები, რომლებიც კვლავ გახდიან ჩინეთს იაპონიის იმპერიალიზმის საწველ ფურად. და რაც დღე მიდის ბრძოლა ამ ორ მხარეთ შორის უფრო ღრმავდება და მწვავე ხასიათს ღებულობს. ჩვენ არ ვიცით რით დამთავრდება ის, მაგრამ ერთი კი ცხადია, ჩინეთის მშრომელთა ხალხის ხსნა არის მის შეურიგებელ ბრძოლაში ყველა ჯურის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც დღეს დაპარპაშობენ მასში.

—მ.

## ერიხ მიუზამი ბერლინში.



ბავარიის მთავრობამ სხვებთან ერთად გაანთავისუფლა პატიმრობიდან ერიხ მიუზამი. მიუზამი ჩავიდა ბერლინში, სადაც მას შეხვდა დიდძალი მუშები. მუშებმა ხელით გამოიყვანეს მიუზამი ვაგონიდან.

მიუზამის შესახვედრად მოსულ კომკავშირელთა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება.

ამხანაგი ერიხ მიუზამი ბავარიელი კომუნისტი, პოეტი და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც გერმანიის „დემოკრატიულმა სასამართლომ“ დასაჯა ბავარიის რევოლიუციაში მონაწილეობის მიღებისათვის 15 წლის ციხით. მიუზამი ეხლა-ხან გაანთავისუფლეს ციხიდან გერმანიის პროლეტარიატის ზეგავლენით. მას დაწერილი აქვს მრავალი პოლიტიკური შინაარსის წიგნები და პოეტური ნაწარმოებნი. განსაკუთრებითი სახელი მოუხვეჭა მას ლექსთა კრებულმა „დედამიწა ცეცხლში“ და პიესა „იუდამ“.

## კვლავ მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში.

მიუზამმა და მისმა მეგობრებმა, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ ბავარიის მთავრობის მიერ, მიმართეს მისალმებით გერმანიის მუშათა კლასს: „ჩვენ აღფრთოვანებული ვართ იმ შესაძლებლობით, რომ ექვსი წლის პატიმრობის შემდეგ მოგვეცა საშუალება კვლავ დავბრუნებულიყავით მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში.

ჩვენ ვკლავ ვუბრუნდებით მუშათა რიგებს მჩაგვრელთა და მყვლეფელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

## როგორ შეხვდენ გერმანიაში მიუზამს.

ბავარიის კომუნისტ ერიხ მიუზამის შესახვედრად ბერლინის სადგურზე იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ 15 წუთის განმავლობაში შეჩერებულ იქნა ყოველგვარი მოძრაობა.

პოლიციამ აამუშავა თავისი რეზინის ჯოხები და ამ რიგად გაათავისუფლა სადგურის წინა მოედანი.

დააპატიმრეს რამოდენიმე კაცი.

## ჭეშმარიტების გულისთვის.

### რაკოვსკის წერილი ჩემბერლენს.

საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა რაკოვსკიმ გადასცა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩემბერლენს შემდეგი შინაარსის წერილი:

„თემთა პალატის სხდომაზე ათ დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ზინოვიევის წერილის სინამდვილის დამტკიცება შეუძლებელია, ვინაიდან საფრთხე მოელის იმ პირებს, რომლებმაც გადასცეს ინგლისის მთავრობას საბუთები წერილის შესახებო.

ჭეშმარიტების გულისთვის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა დამავალა მე განვაცხადო, რომ საბჭოთა მთავრობა სრულ გარანტიას აძლევს დასახელებულ პირს მშვიდობიანად და უვნებლად გამოვიდეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან“.

## უთანხმოება მუშათა პარტიის მემარცხენე და მემარჯვენეებს შორის.

მემარჯვენე წრეების დამოკიდებულებას დელეგაციის ანგარიშის მიმართ მოწმობს პრესის განმარტება, სადაც ნათქვამია, რომ ანგარიშში არ არის ცნობები „ზინოვიევის წერილის“, საქართველოს საკითხისა და ინგლის-რუსეთის პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებო.

მუშათა პარტიის მემარჯვენე წრეები ამ საკითხების გვერდის ახვევას ანგარიშში მნიშვნელოვანად სთვლის.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ მუშათა პარტიის მემარცხენე და მემარჯვენეებს შორის განხეთქილება არსებობს.

## გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს კელნის ზონის ევაკუაციის გადიდების წინააღმდეგ.

საერთაშორისო საკონტროლო კომისიამ დააგვიანა ანგარიშის წარმოდგენა კელნის ზონის ევაკუაციის საკითხის შესახებ. პარიზში, ბრიუსელში და ლონდონში მყოფ გერმანიის ელჩებმა სათანადო განცხადება წარუდგინეს მთავრობებს და აღნიშნეს, რომ თუ გადაშორდება კელნის ევაკუაცია 10 იანვარს, მოსალოდნელია გერმანიის მოსახლეობაში მღელვარება ამ საკითხის გამო.

## მოსალოდნელია გაფიცვები.

საარის ოლქის რკინის გზის კავშირმა გადასწყვიტა გაფიცვების გამოცხადება იმ შემთხვევაში, თუ არ დააკმაყოფილებენ კავშირის მოთხოვნილებებს სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ.

## განხეთქილება საქსონიის სოციალ-დემოკრატებს შორის.

საქსონიის სოციალ-დემოკრატებს შორის მოხდა საბოლოო განხეთქილება. ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმცირესობისა და უმრავლესობას განზრახული აქვთ მიმართონ ლანდტაგის პრეზიდიუმს დაუთმოს მათ ცალკე ფრაქციების ბინები.

ორივე ფრაქციას გადაწყვეტილი აქვთ მომავალ არჩევნებზე გამოვიდენ საკუთარი სიებით.

# ებერტის შეურაცხყოფის საქმე.

ბრალმდებელი მოითხოვს ბრალდებულ როტხარტისათვის ექვსი თვის ციხეს პრეზიდენტ ებერტის შეურაცხყოფისათვის. პროკურორმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატებმა აიღეს ხელმძღვანელობა გაფიცვეში იმიტომ, რომ ლიკვიდაცია გაეკეთებიათ გაფიცვებისმთვის.

ებერტის დამცველმა ლანსბერგმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ებერტის ხელმძღვანელობით მხარს უჭერდა ქვეყნის თავდაცვის საქმეს. სოციალ-დემოკრატების შესვლა საგაფიცვო კომიტეტში აუცილებელი [იყო, ვინაიდან საჭიროება მოითხოვდა თვალყურის დევნებას თავდაუჭერელ პირებზე ცუდი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

ებერტი სცდილობდა არა მარტო გაფიცვების ჩაშლას საომარ მასალების დამმზადებელ ქარხნებში, არამედ სრულებით შეწყვეტილი ყოფილიყო გაფიცვები ომის დროს.

# ხარმანის საქმე.

ხარმანს, რომელიც ატარებდა უზნეო ცხოვრებას და ჩაიდინა მრავალი მკვლელობა, სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. მან ფორმალურად უარი განაცხადა განაჩენის გასაჩივრებაზე.

მეორე ბრალდებულმა—პოლიციის აგენტმა გრანსმა აღძრა შუამდგომლობა განაჩენის გასაჩივრების შესახებ.

# რეველის აჯანყების გამოძახილი.

## ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატები შეთანხმებით მოქმედებენ ჩვენს წინააღმდეგ. საუბარი ლიტვის კომპარტიის ცეკას წევრთან.

ლიტვის კომპარტიის ცეკას წევრმა მიცკევიჩ-კაპსუკამ როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „უკანასკნელ დროს ლიტვის ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატები ავრცელებდენ ყალბ ხმებს და ამტკიცებდენ, რომ რეველის აჯანყება მოწყობილია მოსკოვის მიერ, რომელიც ვითომდა უცდიდა ხელსაყრელ შემთხვევას, რათა შემოჭრილიყო ესტონეთში და მოესპო მისი „დამოუკიდებლობა". ასეთივე ბედი მოელის ბალტიის სხვა რესპუბლიკებსაცო—ჰყვიროდნენ გაზეთები. ამიტომ ჩვენ უნდა შევკავშირდეთ და ვაწარმოოთ გადაჭრილი ბრძოლა „მოსკოვის აგენტ-კომუნისტების წინააღმდეგ"-ო.

# ალბანეთის ამბები.

აჯანყება წინასწარ იყო მომზადებული საიმრეთ-სლავიის ტერიტორიაზე სერბიის დახმარებით. აჯანყება პირველად წარმატებით მიდიოდა, მაგრამ შემდეგ შეფერხებულ იქნა.

აჯანყებულებს აღმოაჩნდათ სამხრეთ-სლავიის სისტემის იარაღები და მათ შორის აღმოჩნდა სამხრეთ-სლავიის ჯარისკაცებიც. ალბანეთის პრეზიდენტი ატყობინებს ერთა ლიგას, რომ სამხრეთ-სლავია მონაწილეობდა აჯანყების მომზადებაშიო. სამხრეთ-სლავიის მთავრობა უარყოფს ამ ცნობის სიმართლეს. ამბობენ, რომ სამხრეთ-სლავია მოქმედებდა იტალიასთან შეთანხმებითო. ეს ორივე სახელმწიფო აცხადებს თავის ნეიტრალობას ალბანეთის საქმეების მიმართ, მაგრამ იტალიის გემის გამგზავრება ალბანეთის წყლებში ეწინააღმდეგება მათ განცხადებას.

# ლონდონის პრესა დელეგაციის ანგარიშის შესახებ.

ლონდონის გაზეთები გაცხოველებით აკრიტიკებენ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ დელეგაციის ანგარიშს.

კონსერვატიული გაზეთები დაცინვით უწოდებენ ხსენებულ ანგარიშებს „რუსულ ჯადოსნურ ზღაპრებს" და ამტკიცებენ, რომ დელეგაციამ ნახა საბჭოთა კავშირში ის, რაც „ბოლშევიკებს სურდათ ეჩვენებინათ მათთვის".

ლიბერალური პრესაც ასევე იქცევა და მოითხოვს დელეგაციისაგან დაასაბუთოს უკანასკნელმა „ქებათა-ქების" ანგარიში.

მუშათა პარტიის გაზეთი „დეილი გერალდ" სდგას გაურკვეველ პოზიციაზე და აცხადებს: „დელეგატები, როგორც ყველა კეთილგონიერი ადამიანები, ფიქრობენ, რომ ყოველი ქვეყანა უნდა უსწორდებოდეს ყოველგვარ დაბრკოლებას თავისებურად".

# ამზადებენ ნიადაგს საქმეში ჩარევისათვის.

შანხაიში მყოფი ტოკიოს გაზეთის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ვითომ სუნ-იატ-სენი სცდილობს კარახანის დახმარებით ხელში ჩაიგდოს მთავალ კვირაში პეკინის ძალაუფლება.

კორესპონდენტი ფარისევლური შიშით სწერს:

„სუნ-იატ-სენის პირველი მიზანია გააბათილოს ჩინეთის ყველა ხელშეკრულება და უარი სთქვას ყოველ საგარეო ვალდებულებაზე ლენინის მეთოდის მიხედვით.

იმ შემთხვევაშიაც კი, თუ-კინდ სუნ-იატ-სენის ბატონობა ხანმოკლეც გამოდგეს, მას მაინც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, მით უფრო რომ ჩინეთის ხალხი სიხარულით შეხვდება და მხარს დაუჭერს მას.

სახელმწიფოები, უეჭველია უარს იტყვიან სუნ-იატ-სენის მთავრობის ცნობაზე, მაგრამ უკანასკნელის თვის ეს სულ ერთია, იმ დროს, როცა უცხოელ სახელმწიფოებს ეს დიდ ზიანს მიაყენებს.

შეიარაღებული ჩარევა კიდევ საშიში ნაბიჯი არის, ვინაიდან ჩინეთში შესვლა გაცილებით ადვილია, ვინემ იქიდან გამოსვლა".

# ინგლისის ძალდატანებით საბჭოთა კავშირის ელჩმა დასტოვა ალბანეთი.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრაკოვეცკი 16 დეკემბერს ჩავიდა ტირანუში.

ალბანეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა იცნოს მისი რწმუნებულება.

მაგრამ მეორე დღესვე ინგლისის, იტალიისა და სამხრეთ-სლავიის წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს ალბანეთის მიერ საბჭოთა წარმომადგენლების მიღების წინააღმდეგ. სწორედ ამ დღესვე ბავარიისთვის საშიში ხასიათი მიიღო ახმედ-ზოგუს შემოტევამ ტირანუზე. ინგლისის წარმომადგენელმა ოფიციალურად შეჰპირდა ალბანეთის მთავრობას, რომ თუ უკანასკნელი არ მიიღებს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, ინგლისი შეაჩერებს ახმედ-ზოგუს შემოტევას.

17 დეკემბერს მინისტრთა საბჭომ ხელმეორედ მიმართა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს გასულიყვნენ ალბანეთიდან.

შექმნილ მდგომარეობის გამო საბჭოთა კავშირის დელეგატები იძულებული გახდენ 18 დეკემბერს დაეტოვებიათ ტირანუ.

# სუნ-იატ-სენი და დუან-ცზი-ჩჟუი.

სუნ-იატ-სენის მდივანი იტყობინება: „სუნ-იატ-სენი მივა პეკინში და დარჩება იქ შობის დღესასწაულების ბოლომდი."

ამ განცხადებაში ხედავენ ნიშანს იმ უთანხმოების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს დუან-ცზი ჩჟუსა და სუნ-იატ-სენს შორის ნაციონალურ კრების მოწვევის საკითხში.

# ბიუკენენის გარდაცვალების შესახებ.

## ბიოგრაფიული ცნობები.

ეხლახან ლონდონში გარდაიცვალა ინგლისის ყოფილი ელჩი რუსეთში ბიუკენენი. ბიუკენენი დაიბადა 1854 წ. 1910 წ. ის დაინიშნა ელჩად რუსეთში და 1918 წლამდი დარჩა ამ თანამდებობაზე.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ბიუკენენი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რათა საქმე გათავებულიყო მხოლოდ ნიკოლოზ მეფის გადადგომით და მის ალაგას დანიშნულიყო რომანოვის გვარეულობიდან რომელიმე წევრი. შემდეგ ბიუკენენი მეტად მტრულ განწყობილებაზე დადგა საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხების მიმართ, რომლებმაც გაჰბედეს ომის შეწყვეტა.

ბიუკენენი სცდილობდა მოეწყო საბჭოთა ტერიტორიაზე აჯანყება და გადატრიალება.

ბიუკენენი სიკვდილამდის დარჩა საბჭოთა კავშირის სასტიკი მოწინააღმდეგე. ამ ბოლო დროს ერთხელ კიდევ გამოვიდა ის ყოველგვარ ურთიერთობის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან.

# საბჭოთა კავშირში

## რევოლიუციის უხუცესთა მოგონებათა საღამო

22 დეკემბერს მოსკოვის დიდ თეატრში გაიმართა რევოლიუციის უხუცეს შლისელბურგის ციხის პატიმართა მოგონებათა საღამო.

საღამო გახსნა პოლიტ-კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების სახელით ვილენსკი სიბირიაკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საზოგადოებამ, რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიის აღსადგენად გადაწყვიტა მოაწყოს რევოლიუციის უხუცესთა მოგონებათა საღამოები, რაიც საშუალებას მისცემს ფართე მასებს გაეცნოს კატორღასა და გადასახლების ისტორიას.

შლისელბურგის ციხის წარსულზე მოხსენება გააკეთა ნოვორუსკიმ და აღნიშნა, რომ ხსენებულ ციხეში ამწყვდევდენ პოლიტპატიმრებს ყოველგვარ გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე როგორც კი მოესურვებოდათ მეფეებს.

შემდეგ ილ...ვერა კი...გნერმა შლისელბურგის ციხის მოგონებიდან.

საღამო დამთავრდა საკონცერტო განყოფილებით.

# ჯილდო პროფესორს.

გავასის სააგენტო იუწყება რომ საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიამ მიუსაჯა ჯილდო 3500 გირვანქა სტერლინგი ლენინგრადის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორს ფრანც ლევინსონ-ლესსინგს შრომის დაწერისათვის გეოლოგიაში და პეტროგრაფიაში.

# მემამულეთა პოლონეთში

პოლონეთის სეიმის კომფრაქციამ დაუგზავნა ყველა რედაქციებს პროტესტის წერილი იმ პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც აწარმოვა „ოხრანკამ" (დამცველი რაზმი) კომუნისტ კრულიკოვსკის მიმართ.

გარდა ბუნდელების ორგანო „ფოლკსცეიტუნგისა" არც ერთ გაზეთს არ მოუთავსებია პროტესტის წერილი.

## გლეხთა შეტაკება პოლონეთის სამხედრო ჩასახლებულებთან.

კომუნისტურ დეპუტატების პრისტუპასა და სკრიპას მიერ გამართულ მიტინგზე მოვიდენ თოფებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული სამხედრო ჩასახლებულები, რომლების მიზანი იყო მიტინგის გარეკა. მიტინგზე მონაწილე გლეხებსა და ჩასახლებულებს შორის გაიმართა ბრძოლა. ჩასახლებულებს მიეშველა პოლიცია, რომელმაც განდევნა შეკრებულები.

დააპატიმრეს მრავალი გლეხი.

## თავდასხმა მემამულეებზე.

სტოლბეცკისა და კამენეცკის მაზრებში კვლავ მოხდა პარტიზანთა თავდასხმა მემამულეებზე, რომელთაც მოსტაცეს ცხენები.

# საბჭოთა სამართალი.

(გაგრძელება)

**დებულება: „ადამიანები ერთნაირ უფლებებით არიან აღჭურვილნიო"—ზღაპარია.**

**სამართალი — გაბატონებულ კლასის საბრძოლველი იარაღია.**

რა არის მშრალი ფორმულა: „ადამიანები ერთნაირი უფლებებით არიან აღჭურვილნიო". მუშა თავისუფალი იყო უფლებებით, მაგრამ თავისუფალი იყო სამრეწველო იარაღებიდანაც, ე. ი. ეს უკანასკნელი არ გააჩნდათ მათ. მას უნდა გაეყიდნა თავისი შრომა, რომ ერჩინა თავი, და ყიდულობდა ის ვინც ამ შრომისაგან ზედმეტი მოგების სახით უამრავ სიმდიდრეს იძენდა და ზრდიდა კაპიტალს. თავისუფალი ხარ შენ მუშა, მაგრამ თუ არ დაექირავე ბურჟუას იმ ფასში, რასაც ის შემოგაძლევს, შენ შიმშილით მოკვდები. არის თუ არა ეს თანასწორ-უფლებიანობა? არსებითად თუ გსურთ გაიგოთ, რასაკვირველია არა. ამასთანავე კერძო საკუთრების შენარჩუნების და დაცვის მიზნით, შეიქმნა ახალი კანონმდებლობა. ეს კანონმდებლობა იცავს კერძო საკუთრების უფლებას ყველასათვის, მაგრამ რა კერძო საკუთრება აქვს მუშას, რომ მას დაცვა ესაჭიროებოდეს. გაუჭირდათ მუშებს ცხოვრება და თავისი ეკონომიური უფლებების განსახორციელებლათ დაიწყეს გაფიცვების მოწყობა, მაგრამ ბურჟუაზიამ სასტიკი რეპრესიებით უპასუხა—და ამ მოქმედებას კი იცავდა ბურჟუაზიული უფლება, ბურჟუაზიული სამართალი.

რათა? რატომ? მუშაც ხომ თანასწორ უფლებიანი მოქალაქეა. რატომ არ უნდა ქონდეს მას გაფიცვების უფლება? იმიტომ რომ მუშათა გაფიცვა საზარალოა ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. ასე დასრულდა ზღაპარი ბურჟუაზიული ფორმულის „ყველა ადამიანის და მოქალაქის თანასწორ—უფლებიანობა" აქაც აშკარა გახდა კლასიური სახე ბურჟუაზიული უფლების და სამართლიანობის. მაგრამ ალბათ ზოგი იტყვის: „ბურჟუაზიულ კანონმდებლობაშიც ხომ იყო ზოგიერთი რამ მუშათა სასარგებლოთო, მაგალითად, უკანასკნელ დროს ხომ არის შემოღებული 8 საათის სამუშაო დღეო. „რასაკვირველია ეს შეხედულება სწორი არ არის, 8 საათის სამუშაო დღე—ეს არის შედეგი კლასთა ბრძოლის, რომელიც ხდება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის. პროლეტარიატმა ბრძოლაში მოიპოვა ეს უფლება და ის აღარ შეადგენს ბურჟუაზიული უფლების ნაწილს ასეთია სინამდვილე და ხასიათი ყოველგვარი უფლებისა და სამართლისა. ის ე. ი. სამართალი გაბატონებულ კლასის საბრძოლველი იარაღია და მუდამ ატარებს ამ უკანასკნელის ბუნებას. როგორიღა უნდა იყოს პროლეტარული სამართლო, რა მიზნები უნდა ასულდგმულებდეს მას. ამაზე შემდეგ.

დ. ხიხაძე.




## ჩვენი ნაკლულევანებანი.

მეორე დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულში ადგილი აქვს ერთ დიდ ნაკლს. აგერ შუა ზამთარში შევედით თითქმის და ასეულის არმიელები ჯერ კიდევ საზაფხულო საბნების ამარა ვართ. არც ზეწრები მიუღიათ. ამ ორი კვირის წინათ ასეული დაათვალიერა დივიზიის უფროსმა და ძლიერ გაოცებული დარჩა, როდესაც ნახა, რომ არმიელები საზაფხულო საბნების ამარა იწვნენ ცარიელ ხის ტახტებზე. მან გასცა განკარგულება დაუყონებლივ მიეღოთ საჭირო ზომები. აგერ ნახევარ თვეზე მეტია მას შემდეგ და არაფერი არ ისმის ჩვენი საბნების შესახებ. თითეული კრების დროს სამნეო ნაწილის უფროსი გვეუბნება, რომ ამ დღეებში იქნებაო, მაგრამ ამ დაპირებას ბოლო არ უჩანს.

ძლიერი სიცივეები დაიწყო, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები და არ დაგვირიგდება ქვეშსაგები, ასეულში არმიელების გაციების ნიადაგზე ფეხს მოიკიდებს სხვა და სხვა ავადმყოფობა.

მოგვაქციეთ ყურადღება, მოგვეცით ქვეშსაგები.

**სერმონია.**

## ახალგაზრდა ლენინელთა შორის.

18 დეკემბერს პირველი ლეგიონის მთელმა პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო შემადგენლობამ თავი მოიყარეს ბიურო კოლექტივში. გასარჩევი იყო საკითხი, თუ როგორი ხასიათით უნდა ჩატარებულიყო ახალგაზრდა ლენინელთა საშობაო დღესასწაული. კრებაზე წაკითხული იქნა პოლიტ განყოფილებისაგან გადმოგზავნილი საშობაო დღესასწაულის ჩასატარებელი გეგმა.

წაკითხული იქნა აგრეთვე პოლიტ-განყოფილების ინსტრუქციების მიხედვით ლეგიონში შედგენილი სადღესასწაულო გეგმა, რომელიც შეიცავდა შემდეგს:

1) ლეგიონის ფარგლებში მთლიანი მუშაობა, 2. თვითეულ ასეულის ლენინის კუთხის მოვალეობა.

მცირე კამათის შემდეგ გეგმა მიღებულ იქნა და კიდევაც გადაგზავნეს სახელმძღვანელოთ სხვა და სხვა ასეულებში.

ამ ჟამად ყველა ასეულებში ხდება კრებები და ემზადებიან საშობაოთ. იძენენ ლიტერატურას ლენინის კუთხეში გასაშუქებლათ, ქვეყნიერების წარმოშობის და განვითარებაზე, სარწმუნოებაზე და მეცნიერებაზე.

ამ საქმიანობაში ჩაბმული არიან ახალგაზრდა ლენინელები. დიდ დახმარებას გვიწევენ აგრეთვე ჩვენი ექიმები და მასწავლებლები.

ამ დღისთვის ლეგიონის კლუბიც ემზადება, მას კავშირი აქვს მე-3 მე რაიონის ახ. კ. კავშირის კომიტეტთან; მოწვეულია სპეციალურათ მოხსენებელი, აწყობენ პოლიტ-ლატარეიას, სხვადასხვა წრეების გასამართლებას, წარმოდგენას და სხვა.

აქვე აღსანიშნავია უპარტიო წითელ არმიელების მოქმედება. ყველას უნდა რაიმე გაკეთოს და მონაწილეობა მიიღოს ამ საქმიანობაში.

წინასწარ დარწმუნებული არიან, რომ რელიგია და სარწმუნოება ზღაპრის მეტი არაფერია.

**ე. ც—ია.**

## საბიბლ. მუშაობა მე-6-სე ტერ-ლეგიონში.

ჩვენი ბიბლიოთეკა წინეთ, სანამ დივიზიის უნცროს მეთაურთა სკოლა არ დაიშალა ძლიერ ცუდ ადგილას იყო მოთავსებული, მაგრამ სკოლის დაშლის შემდეგ ბიბლიოთეკა კარგ შენობაში მოთავსდა.

ბიბლიოთეკას ამშვენებს მშვენივრათ მოწყობილი ლენინის კუთხე, მორთულია სათანადო პლაკატებით, რევოლიუციის ბელადთა სურათებით და ლოზუნგებით. ტეხნიკურად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია. ბიბლიოთეკას მოეპოება 1917 წიგნი. მათში 1375 ქართული და 373 რუსული წიგნებია. მკითხველთა რიცხვი 95 პროც.-დე აღწევს. დანარჩენი 5 პროც. კი წერა კითხვის უცოდინარები არიან.

ბიბლიოთეკას აქვს მოძრავი განყოფილება, რომელიც აწვდის ლიტერატურას ამავე ლეგიონის მაზრებში მყოფ ნაწილებს. ყველა ასეულებს ყავს თავთავიანთი ასბიბგამგეები, ისინი სისტემატიურად ღებულობენ ბიბლიოთეკიდან სხვა და სხვა წიგნებს და გაზეთებს. სამკითხველოს აქვს 8 სხვა და სხვა განყოფილებები: 1) ლენინის კუთხე, 2) პოლიტიკური, 3) სამხედრო, 4) სანიტარული, 5) ანტირელიგიური, 6) სპორტიული, 7) სასოფლო—სამეურნეო და 8) პოლიტ-საათის განყოფილებები. თითეულ განყოფილებას აქვს თავისი სარეკომენდაციო სიები.

ლეგიონის თანამშრომელთა 90 პროც. იწერენ გაზეთებს ბიბლიოთეკის საშვალებით. ბიბლიოთეკას ყავს თავის საბჭო 10 წევრისაგან შემდგარი. ბიბსაბჭოს დადგენილება ეგზავნება მაზრებში მყოფ ამავე ლეგიონის ნაწილების ბიბლიოთეკებს სწორი მუშაობის საწარმოებლათ. მკითხველებს ბიბლიოთეკა ყოველ მხრივ აკმაყოფილებს. საბლიოთეკო მუშაობის ასეთ დონეზე დაყენება უნდა მიეწეროს ბიბგამგე ამხ. ტულუშის ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას, რისთვისაც დიდ მადლობას უცხადებთ ლეგშემადგენლობა.

ლეგსამხკორი **ესმაშვილი.**

## პირველი ასეულის ცხოვრებიდან

### პირველი ლეგიონი

ჩვენს ასეულში კარგათ არის დაყენებული საქმე, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურად მომზადების საქმე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ასეულის მეთაურთა შემადგენლობა დიდ აქტივობას იჩენს წითელ-არმიელების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

წითელ-არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან მეცადინეობით. სანიტარული მდგომარეობა ძლიერ კარგია. ასეულში დიდი ყურადღება ექცევა სისუფთავეს. აბანოში სისტემატიურად იგზავნებიან ამხანაგები. საცვლები და ტანსაცმელი კარგად დასუფთავებული და თავის დროზე გვეძლევა.

სამხკორი **შ. კვინიკაძე.**

## პოლიტ-საათი ჩვენთან.

პირველ ქ. მ. ლეგიონში დიდი ყურადღება ექცევა წით. არმიელებს. პოლიტიკურ აღზრდას და მეცადინეობას მეტი საათები აქვს დათმობილი. არმიელების მიღების დღიდან პოლიტ-საათი სისტემატიურათ ტარდება. სამხკომი და ლეგთავი დიდ ყურადღებას აქცევდენ იმ გარემოებას, რომ ერთ და იმავე ნაწილში არ მოხვედრილიყვენ ერთ და იმავე მაზრიდან მოსული ამხანაგები, რადგანაც ხელს შეუშლიდა პოლიტ საათების მიმდინარეობას. ეს დანაწილება შესაფერისად გატარდა.

ამის გარდა პროპორციანალურათ იქნა განაწილებული მომზადებული და წერა კითხვის მცოდნე ამხანაგები. უცოდინარი არმიელები კი ასეულებში იქნენ მოთავსებული. იქ სადაც წერა კითხვის უცოდინარები არიან უფრო სხვანაირი მეთოდით მიმდინარეობს პოლიტიკური მეცადინეობა, ხოლო ასეთმა სისტემამ კარგი ნაყოფი გამოიღო. პოლიტ-საათს დათმობილი აქვს ორი საათი დილაობით და სწარმოებს სისტემატიურათ მეცადინეობა. წითელი არმიელებიც დაინტერესებული არიან. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მეცადინეობაში. სახელმძღვანელოებს პოლიტ-ხელები ღებულობენ ბიურო კოლექტივიდან და მისი მიხედვით ვატარებთ პოლიტ-საათებს.

ჯერ-ჯერობით მხოლოთ სამხედრო საქმის შეთვისებაზე და მის მნიშვნელობაზეა საუბრები ჩატარებული და აგრეთვე საბჭოების შესახებ. პოლიტ-საათს ესწრებიან დივიზიის სკოლის კურსანტები.

**ს. იმნაიშვილი.**

## წითელი კუთხის გამგე მოისუსტებს

პირველი ლეგიონის მესამე ასეულის წითელ არმიელების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი არიან.

ეს მდგომარეობა კარგად აქვთ გათვალისწინებული ჩვენს ასეულის უფროსებს და ამიტომ არის, რომ მთელი თავისი ენერგია და ყურადღება აქეთკენ აქვთ მიქცეული ამ ამხანაგებს. იმ დროს, როდესაც მთელი ასეულის შემადგენლობის ყურადღება მიქცეულია წითელ კუთხის მოწყობისაკენ, ჩვენი კუთხის გამგე ძლიერ გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას. ნუ თუ ის გონია ამხ. გამგეს, რომ მარტო გაზეთების მოტანა შედის მის მოვალეობაში და მეტი არაფერი?

კუთხის გამგე არ აწარმოებს ხმამაღალ კითხვას, რაც ესოდენ აუცილებელია წერა-კითხვის უწოდინარ არმიელებისათვის.

კარგი იქნება დროზე გამოფხიზლდებოდეს ამხანაგი და დაიწყებდეს ენერგიულად მუშაობას.

საჭიროა მეტი მონდომება და საქმით დაინტერესება, თორემ ისე არაფერი არ გაკეთდება.

**წ. არმ. ალ. ტაბატაძე.**

## საკლუბო-საბიბლიოთეკო კურსების მუშაობა

სემინარმა ჩაატარა უკვე 8 მეცადინეობა. მეცადინეობას ესწრებიან კლუბის უფროსები, წრეების ხელმძღვანელები, პოლიტ-ხელები—ლენინის კუთხეების და ბიბლიოთეკის გამგენი. უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ ორჯერ სემინარის მეცადინეობა გადადებულ იქნა მონაწილეთა დაუსწრებლობის გამო.

სემინარზე გაკეთებული იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. ლენინის კუთხის მიზნები და ამოცანები.

2. ლენინის კუთხის აქტივი.

3. კომბინიური საღამოს მეთოდი.

4. რათ ეწოდება კუთხეს—ლენინის კუთხე.

5. საცნობო მუშაობა კუთხეში.

ყოველივე ის, რაც კეთდება სემინარებში უკვე დამუშავებული და სათანადოთ შესწორებული გამოიცემა შემდეგში სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახელმძღვანელოთ.

ჯერ-ჯერობით სემინარების მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. მსმენელები ხალისიანად მუშაობენ, მონაწილეობას ღებულობენ კამათში, ბაასში და სხვა. კიდევ ერთხელ საჭიროა აღინიშნოს, რათა სათანადო ყურადღება მიექცეს, რომ ყველა მონაწილე ესწრებოდეს მეცადინეობას. თითეული გამოშვებული მეცადინეობა აუნაზღაურებელი დანაკლისია.

უნდა ბოლო მოეღოს აგრეთვე დაგვიანებას.

**ე. ხუციშვილი.**

## „წიგნის კვირეულის“ ჩატარების შესახებ.

საკავშირო მთავარ პოლიტ-განის დადგენილების თანახმად „წიგნის დღე უნდა ჩატარებულიყო მთელს კავშირში, მაგრამ რადგანაც მისი ცხოვრებაში გატარება მოუხერხებელი შეიქნა, ამისთვის ეს დადგენილება შეიცვალა და 1-ლი დეკემბრიდან პირველ იანვრამდე ყველგან უნდა იქნას ჩატარებული „წიგნის კვირეულები“.

რა მიზანს ემსახურება ეს კვირეულები? ჩვენს დროში ბალღისთვისაც აშკარაა, რომ უწიგნოთ—წერა-კითხვის შეუსწავლელად ძლიერ სჭირს ცხოვრება და მით უმეტეს თუ ხალხის ფართო მასა გაუთვითცნობიერებელი დარჩა, ვერაფრით ვერ მივაღწევთ დიად მიზანს—სოციალიზმს. განვითარება—რომელსაც წიგნის საშვალებით შევიძენთ ძლიერ გვიმოკლებს გზას სოციალიზმისაკენ.

რომ წიგნი დაუახლოვოთ მშრომელებს, რომ ისინი გახდენ წიგნის მეგობარი, საჭირო არის დიდი ყურადღება და მუშაობა ამ მიმართულებით. მთავპოლიტგანმა სწორედ ამიტომ გადმოისროლა ლოზუნგი „წიგნი მასას“.

ეს ლოზუნგი გატარებული იქნა ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ადგილებში და ბრწყინვალე შედეგებიც გამოიღო (უკრაინა და სხვა). აქ თვით დაწესებულებები აწარმოებდენ აგიტაციას წიგნის სასარგებლოდ. მასები დაინტერესდენ წიგნებით და სულ მცირე დროის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მათზე მოთხოვნილება.

პირველი დივიზიის პოლიტ-განის საბიბლიოთეკო სექციამ ამავე მიზნით გამოჰყო ამხანაგები, რომლებსაც დაევალათ ჩაატარონ „წიგნის კვირეული.“

დივიზიის ცენტრალურ კლუბში დაიდგმება სააგიტაციო „საკვირეულო“ ხასიათის პიესები. ამისთვის იბეჭდება: მოწოდებები, ლოზუნგები, პლაკატები, დიოგრამები და სხვა.

წინადადება მიეცა ნაწილებსაც თავიანთ კლუბებთან შეთანხმებით მოაწყონ ასეთი საღამოები, გასამართლებანი და წითელ არმიელთა ფართო მასაში აწარმოონ წიგნის სასარგებლო აგიტაცია შემდეგი ლოზუნგით: „გაუმარჯოს წიგნს, ყოველგვარი ცოდნის წყაროს და ყველა საკითხებზე პასუხის გამცემს.“

**გრ. ჩიჩუა.**

## სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე.

როგორ წარმოიშვა სიცოცხლე დედამიწაზე?

აი საკითხი, რომელიც აღძრება ყველას, ვინც უკვირდება გარემოცულ ბუნებას. ეგება ეს კითხვა ზედმეტი იყოს. ნუ თუ მუდამ არ ყოფილა სიცოცხლე დედამიწაზე? რასაკვირველია არა. ყველა მეცნიერები: მეცნიერება სხეულების თვისებებზე—ფიზიკა, მეცნიერება სხეულების შემადგენლობაზე—ქიმია, მეცნიერება დედამიწაზე—გეოლოგია, მეცნიერება ციურ სხეულებზე—ასტრონომია—ერთხმათ ამტკიცებენ, რომ დედამიწა ოდესღაც იყო გამდნარი და წარმოადგენდა ცეცხლისსებურ გახურებულ სითხის სფეროს, რომლის ტემპერატურა (სითბოს ან სიცივის რაოდენობა) აღემატებოდა რამოდენიმე ათასს გრადუსს. მაშინ დედამიწაზე არ იყო არც ერთი წვეთი წყალი და მაშასადამე არც შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე ცოცხალი არსება

მართლაც პროტოპლაზმა, რომელიც შეადგენს აუცილებელ ნაწილს ყველა ცოცხალი არსებისას შესდგება უმთავრესათ წყლისაგან, ეს უკანასკნელი იმყოფება პროტოპლაზმაში სამჯელ მეტათ, ვიდრე ყველა სხვა ელემენტები ერთად. უწყლოთ სიცოცხლის მატარებლის პროტოპლაზმის არსებობა შეუძლებელია.

მაგრამ შემდეგში, ყინვასავით გაცივებულ სივრცის ზეგავლენით, რომელიც ქონდა გარშემორტყმული დედამიწის გახურებულ სფეროს, მან დაიწყო ნელნელა გაცივება და მისი ტემპერატურა კლებულობდა. დედამიწამ დაიწყო ნელი გაცივება უპირველესად გარედან, როგორც ცივდება ცხელი კართოფილი ანუ შემწვარი ვაშლი. ამნაირათ გაჩნდა მაგარი დედამიწის ქერქი, შიგნი კი მისი გული ისევ წარმოადგენს გახურებულ ცეცხლისსებურ სითხეს.

ხშირათ ჩვენი დედამიწა ახლაც გვიმტკიცებს და გვაჩვენებს ხოლმე, რომ მისი სფეროს გული შესდგება ცეცხლისებურ გაცხელებული სითხისაგან, რაც ხდება ვულკანიური მთების ამოხეთქვის დროს, როდესაც ლავას (ნაცარ-ტუტას) ცეცხლიანი სითხის ნაკადულები მთიდან დაბლობისკენ მიისწრაფებიან, ადნობენ და სპობენ ყოველივე მაგარ ნივთიერებას, რომელიც მათ შეხვდება.

იმ დროს როდესაც დედამიწას გაუჩნდა მაგარი ქერქი, წყლის ორთქლი გადაიქცა წყლის წვეთებათ და დავარდა დე-

# ამბები სოფლებიდან

**ამბულატორიის გასახსნელათ.**

ფოთის ქალაქის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. წითელი ჯვრის წინაშე ფოთში უფასო ამბულატორიის გახსნის შესახებ.

**ჟურნალ-გაზეთები კომკავშირისათვის.**

სენაკის აღმასკომმა გადასწყვიტა ყოველთვიურათ გადასდოს 20 მანეთი ახკომკავშირის საჭიროებისათვის ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერათ.

**ინგლიოები თელავის მაზრაში.**

ზაქათალის ოლქიდან თელავის მაზრაში გადმოსახლდნენ ინგლიოებისა და უდინების (ქართული ჩამომავლობაა) ერთი ჯგუფი. სამაზრო აღმასკომმა მათ გადასცა სამოსახლო ადგილები.

**თელავის გამშვენიერება.**

ამჟამად თელავში სწარმოებს ზოგიერთ ძველი შენობების დანგრევა ქუჩების გაფართოების და ქალაქის გამშვენიერების მიზნით.

**ლენინგრადის პროლეტ. დასახმარებლათ.**

ფოთის აღმასკომმა თავის საშუალებებიდან გაიღო 300 მანეთი ლენინგრადის დაზარალებული პროლეტარიატის სასარგებლოთ.

**საავტომობილო მიმოსვლა.**

დაიწყო საავტომობილო მიმოსვლა ახალ სენაკსა და სოხუმს შორის.

**ელექტრო სადგური სოფლად.**

სამურზაყანოს აღმასკომმა გადასწყვიტაააგოს სოფელ გალში ელექტრო სადგური.

**სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმი ახალციხეში.**

იანვრიდან ახალციხეში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი.

---

დამ წის ქერქზე გაჩდა წყალი. დედამიწის ქერქის ჩაღრმავებულ ადგილებში გაჩდა პირველყოფილი ზღვები და ოკეანები, აი მაშინ მხოლოდ შეიძლებოდა გაჩენილიყო სიცოცხლე. ამნაირათ დედამიწის ერთ-ერთ ხანაში პირველათ გაჩდა მასზე ნაპერწკალი სიცოცხლისა. ცოცხალი არსებები გაჩდენ უსიცოცხლო ნივთიერებისაგან ანუ მატერიისაგან რანაირათ მოხდა ეს დაბადება ანუ წარმოშობა ცოცხალის უსიცოცხლობისაგან ანუ როგორც მეცნიერები ამბობენ თვით გაჩენა სიცოცხლისა.

ამის შესახებ შემდეგ წერილში.

**ლ. ხარაძე.**

# მეცნიერება და ტექნიკა.

**რუსულ მეცნიერების მიღწევანი.**

რუს მეცნიერ კალცოვის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ექსპერიმენტაურ ბიოლოგიის ინსტიტუტში მოახდინეს მეტად ღირსშესანიშნავი აღმოჩენა: „მამისა და შვილის“ სისხლში აღმოაჩინეს ერთგვარი ჯგუფური დამახასიათებელი თვისებები. გარდა იმისა, რომ ამ აღმოჩენას დიდი მეცნიერული ღირსება აქვს, მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, სახელდობრ ძლიერ უადვილებს სასამართლოს გამოიცნოს მამის ნამდვილი უფლება შვილზე, ე. ი. ზოგიერთ შემთხვევების დროს თუ მამა უარს განაცხადებს თავის შვილზე, რომ მე არ მეკუთვნისო, სასამართლოს დანამდვილებით შეუძლია ამისი გაგება ორივეს სისხლის გასინჯვით.

**თვალის გადასმა.**

ამავე ინსტიტუტში დიდი მუშაობა სწარმოებს თვალის ერთი ორგანიზმიდან მეორეზე გადასმის გარშემო. ჯერ-ჯერობით სულ რამოდენიმე ცხოველებზე მოახდინეს ცდები და თითქმის ყველა ბრწყინვალედ დამთავრდა. თვალის გადასმა თითქმის უმტკივნეულოდ მოხდა. გადასმულ თვალს მხედველობა არ დაკარგვია.

**გაახალგაზრდავების გარშემო მუშაობა.**

ინსტიტუტს მოსდის გამბურგიდან მაიმუნების დიდი პარტია, რომლებზედაც ახდენენ გაახალგაზრდავების ცდებს. სულ მოსკოვში 14 შემთხვევა მოხდა გაახალგაზრდავების. ამ ჟამად გაახალგაზრდავებისათვის ამზადებენ 20 ოპერაციას, თვით ოპერაციები სწარმოებს ქირურგიულ კლინიკებში. ინსტიტუტში კი წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა და ნაოპერაციების თვალყურის დევნებაა უმთავრესად.

გაახალგაზრდავების—შტეინახის მეთოდი უარყოფილია ინსტიტუტში. ხელმძღვანელობენ პროფესორ ვორონოვის მეთოდით, რომელიც გამოიხატება საკვერცხეების პირდაპირ გადასმაში.

**ნახშირმჟავა ტუბერკულიოზის წინააღმდეგ.**

ერთმა ამერიკელმა პროფესორმა, ექიმთა ასოციაციაში გამოაქვეყნა თავისი დაკვირვებანი და მიღწევები ჭლექის საწინააღმდეგო საშვალებათა აღმოჩენისათვის მის მიერ წარმოებულ მუშაობაში.

ტუბერკულიოზის (ჭლექის) ეს თეორია მართლაც საყურადღებოა.

ის შემდეგს ამბობს. თუ ორგანიზმში იმყოფება ნახშირის სიმჟავის სამი პროცენტი, მაშინ ამ ორგანიზმში ველარ ხეირობენ ტუბერკულიოზის ბაცილები. ხოლო ნახშირის სიმჟავის 15 პროც. ჭლექის ბაცილებს სრულიად ანადგურებსო. ამის დასამტკიცებლად მრავალი სარწმუნო მაგალითები და ცდები მოიყვანა მან. ფაქტები ისეთი დარწმუნებით ალაპარაკდენ, რომ ამ გამოკვლევის დაუჯერებლობა შეუძლებელია. ამნაირად ჭლექის ბაცილების გასანადგურებლად საჭირო ყოფილა სისხლის მიმომქცევ ორგანოებში ნახშირის სიმჟავის განსაზღვრული დოზით შეშხაპუნება.

ეს გამოკვლევა, რომ მართალი იქნება იქიდანაც სჩანს, რომ ამას წინად გერმანელ მეცნიერებმაც გამოაქვეყნეს ცნობა ნახშირზე მომუშავე და ქვის მთლელ მუშებში ძალიან იშვითია ჭლექით დაავადებაო. ისინი ასკვნიდენ, რომ ნახშირისა და კირის მტვერი ცუდათ მოიმოქმედებს ჭლექის ბაცილებზეო.

# სამხედრო ტრიბუნალი.

17 დეკემბერს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა ახალწვეული გეორგი პავლეს-ძე ვარსიმაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა დეზერტირობა, რაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 211 მ. 1 ნაწ. სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული ვარსიმაშვილი ყოფილა მიღებული ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ სამხედრო სამსახურში 27 ოქტომბერს და დანიშნული ცალკე მესანგრე ასეულში მინაურ საქმეების მოსაგვარებლათ მას მისცემია 4 დღის შვებულება, რომლის შემდეგ ვალდებული იყო გამოცხადებულიყო შესაკრებ პუნკტზე დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ, მაგრამ ბრალდებული არ გამოცხადებულა დანიშნულ დროზე და განაგრძნობდა დეზერტირობას პირველ ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე, სადაც ის იქმნა შეპყრობილი ადგილობრივ მილიციის მიერ 6 დეკემბერს და გადაგზავნილი თბილისის მაზრის კომისარიატის განკარგულებაში, რომლის განკარგულებით იქმნა გარდაგზავნილი ცალკე მესანგრე ასეულში და მიცემული პასუხისგებაში დეზერტირობისათვის ბრალდებულ ვარსიმაშვილმა სცნო თავი დამნაშავეთ, სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო წარდგენილი ბრალდება და მიუსაჯა მას 4 თვით საჯარიმო გუნდში მოთავსება და 10 მანეთის ქონების ნაწილის კონფისკაცია ს. ს. კ. 28 მ. შეფარდებით.

**გნიძ.**

# ახალი ამბები.

— **პოლიტგანყოფილების** საორგანიზაციო განყოფილება აცხადებს 1-ლი დივიზიის მეოთხე პარტკონფერენციის დელეგატების საყურადღებოთ, რომ ყოველგვარი ცნობებისათვის მათ უნდა მიმართონ პოლიტგანყოფ. საორ. განყოფილებას.

— **შუამდგომლობა.** საქ. ქიმოხსაზოს პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. თოფურიძეს და ბაბაჯანოვს, აღძრან შუამდგომლობა საქ. სახკომსაბჭოს წინაშე ქიმოხსაზოს საჭიროებისათვის დახმარების მისაღებათ.

— **საინსტრუქტორო სექცია.** საქ. ქიმოხსაზოსთან დაარსდა ინსტრუქტორთა ქვე სექცია, რომლის თავმჯდომარეთაც დაინიშნა ამხ. გუკალოვი.

— **გლეხკომები და მათი წარმოებანი.** 1924 წლის ბოლოსთვის საქართველოში ირიცხებოდა 1377 გლეხკომი 160 წარმოებით.

— **რევოლიუციონერთა უზრუნველყოფა.** 1924 წლის განძავლობაში უზრუნ. სახ. კომისარიატთან ჩარიცხულ იქნა 200 ძველი რევოლიუციონერი, რომლებიც ღებულობენ პენსიას.

— **საზოგადოებრივი სამუშაოები.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა აჭარაში საზოგადოებრივ სამუშაოების მოსაწყობათ გადასდოს 15 ათასი მანეთი.

— **ფიზკულტურის მოედანი.** ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა ვერის დაღმართზე არსებული ფიზკულტურის მოედანზე მოაშენოს მცენარეულობა.

— **უმუშევართა სასარგებლოთ.** ტფილისის უმუშევართა სასარგებლოთ შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა ჩაატაროს უმუშევართა დახმარების თვე.

— **ელექტრონით წამლობისათვის.** ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიძინა მოსკოვში ელექტრონით საკურნალო იარაღები.

— **ფიზიკური კულტურისათვის.** ფიზკულტურის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ ტფილისის აღმასკომმა გადასდო 15 ათასი მანეთი.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ემელიანს.**—წერილი „მეოთხე ასეულის“ შესახებ არ დაიბეჭდება თუ არ გვაცნობეთ თქვენი სახელი და გვარი.

**ამხ. კლიტეს.**—„მისაბაძი მაგალითი“ არ დაიბეჭდება. ეს წერილი უფრო გამოსადეგია ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. გ. კულულაშვილს.**—თქვენი ლექსი „წარსული და ახალი დროის ლექსი“ არ გავა. უფრო კარგი იქნება მოგვაწვდიდეთ კორესპონდენციებს ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. შ. ხეთაგურს.**—კორესპონდენცია „ჩემი შთაბეჭდილებანი“ არ დაიბეჭდება. ასეთი უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში. მოგვწერეთ სხვაზე.

**ამ. მ. ჩ—ძეს.**—ჩვენ არა ერთხელ გაგვიფრთხილებია სამხკორები, რათა სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე. თქვენ ხშირად არ ასრულებთ ამას. აუცილებლად საჭიროა სწეროთ ქაღალდის ცალ გვერდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი წერილები არ დაიბეჭდებიან.

---

პასუხისმგებელი
რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# წითელ არმიელთათვის საჭირო ცნობები.

**მოუარე ფეხებს.**

„ფეხოსანი ჯარის ძალა, მის ფეხებშია“. რატომ? აი რატომ: ომის დროს ჯარის უმთავრეს ღირსებას შეადგენს მისი ჩქარი მოძრაობის უნარიანობა. ცხადია ვერ შესძლებ სწრაფად გადასვლა-გადმოსვლას თუ ფეხები არ გივარგა და ყოველი ხუთი წუთის განმავლობაში ისვენებენ. ამიტომ ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ფეხოსან ჯარს სწორი ნაბიჯი გამოუმუშაონ. ლაშქრობის დროს ისე უნდა იარო, როგორც მანქანა, თვითონაც არ დაიღლები და სხვასაც ხელს არ შეუშლი სიარულში. ამას გარდა ნაბიჯის გამომუშავება ძლიერ აადვილებს დიდი მანძილების გავლას თითქმის დაუღლელად. ასეთ პირობებში დღეღამის განმავლობაში შეუმჩნევლად გაივლი 60-70 ვერსამდე. სწორი სიარული გაჩვევს კაის, თვალყური ადევნო საკუთარ ფეხებს, რომ როგორც ყინვებს, ისე სიცხეებსა და სხვა პირობების დროს არ დავარდე. ამისათვის სწორი ნაბიჯის გამომუშავების გარდა საჭიროა: ფეხსაცმელები არ გიჭერდეს, არც ისეთი სრული უნდა იყოს, რომ გაწუხებდეს და ფეხზე დასახვევზე თავისუფლად შეიძლებოდეს მათი ჩაცმა, განსაკუთრებით, როდესაც ეს დასახვევი შალია.

მეორე ფეხსახვევი ისე უნდა დაიხვეს ფეხზე, რომ ნაოჭი არსად დარჩეს, თორემ სიარულის დროს ის ძლიერ შეაწუხებს, დალარავს და დააწყლულებს ფეხს. ამ შემთხვევაშიც ყურადღებაა საჭირო. ამასაც თავიდანვე მოვლა და მორჩენა უნდა.

სახუმრო ავადმყოფობა არ არის აგრეთვე ფეხების გაოფლიანება. ოფლის გამო ფეხის თითებ შორის ჩნდება სოველი მუწუკები, რომლებიც საშინელი ტკივილების გამომწვევია. მაგრამ ამ ავადმყოფობიდანაც ადვილად შეიძლება განთავისუფლება—საჭიროა ხშირ-ხშირად დაიბანო ფეხები და შემდეგ მიმართო ნაწილის ექიმს, რომელიც მოგაწვდის ერთგვარ სითხეს (ფორმალინის ხსნარი) და იმით დაიზილოთ ისინი (ფეხები). არ უნდა დაივიწყოთ აგრეთვე ფეხსახვევების ხშირ-ხშირად გამოცვლა. დასვენების დროს ყოველთვის უნდა გაიხადოთ ფეხსაცმელები. ეს ძლიერ ეხმარება ფეხებს.

როგორ უნდა მოვიქცეთ ზამთარში?

აქ პირველად ყოვლისა საჭიროა მოერიდო ყინვებს (ფეხების მოწვას) აქაც უმთავრესი საქმეა მოხერხებული ფეხსაცმელები. შეიძლება ორი წყვილი ფეხსახვევების დახვევა, მაგრამ თუ ფეხსაცმელები გიჭერს, მაშინ სისხლი თავისუფლად ვეღარ მოძრაობს ფეხებში და სულ ცოტა ყინვაა საჭირო, რომ მოგეწვას ფეხები. ყინვების დროს ფეხსაცმელებს უნდა წაესვას ქონი: ფეხზე დასახვევებს თუ გაჟღენთავთ უმარილო ქონით მაშინ ფეხი უფრო შეუწუხებლად და რბილად ინახება. თუ წინასწარ იცი, რომ დიდ ხანს მოგიხდება ყინვაში სიარული, საჭიროა გამგზავრების წინ ფეხები დაიბანო საპნით და შემდეგ დაიზილო ისინი უმარილო ქონით, მარილიანი ქონი არვარგა. მარილი შესჭამს ფეხის კანს. ფეხსახვევებზე კიდევ უნდა შემოიხვიო ქაღალდი. ის ძლიერ პრაქტიკულია, რადგან ფეხის სითბოს არ უშვებს გარედ.

ცხენოსნებმა და არტილერისტებმა თავისი უნაგირის უზანგოები უნდა შემოკერონ შალის ან სხვა რაიმე ნაჭრით, რადგან რკინა ძლიერ აციებს ფეხებს.

აი ყველა ის უბრალო რჩევა-დარიგებანი, რომლებიც უნდა იცოდეს თითეულმა წითელ-არმიელმა, რომ უყურადღებობით არ გაიფუჭოს თავისი ფეხები.

**ე—ნ.**


# გამოვიდა

## ქართულ 1 და 2 დივიზიის პოლიტგანყოფილების გამოცემა № 7.

## სახელმძღვანელო პოლიტსაათის მეთოდიკისათვის

შესყიდვის პირობები და სხვა გვარ ცნობების მიღება შეიძლება პოლიტგანყოფილებაში.


ნ. ჟ. ს. ♁ სამხედრო სტამბა კუცხოველის ქ.3. ტირაჟი 1700